ხუთშაბათი, 1918 წ. თებერვლის 1 (14) № 26

წელიწადი მეოთხე

საქართველო

ხუთშაბათი, 1918 წ. თებერვლის 1 14 № 26

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს გარკვეულად დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერ მასალას არ ინახავს და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კანტორა

ხელმოწერის ფასი ერთის წლით 50 მ., 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადებების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორმაგი [illegible]. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კანტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კანტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოიტანონ იმდენად ადრე, რომ მოესწროს 1½ საათისა კანტორაში. კანტორა ღია დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კანტორისა 15—73

დღეს:

ახალი ამბები:

ბოლშევიკები საზავო მოლაპარაკების ბერნში გადატანას მოითხოვენ.—ბოლშევიკების დეკრეტით საერობო კავშირის დაწესებულებანი რესპუბლიკის საკუთრებად ცხადდება.—მოსკოვში გირვანქა პური 5 მანეთი ღირებულა.

მუღანოში რუსების სოფლები აუოხრებიათ. სადგურ ძეგამში გაუძარცვავთ მესამე სამგზავრო მატარებელი.—მეოთხე სამგზავრო მატარებელს განჯაში სროლა აუტეხეს.—სადგურ ალტაგლიაში (თბილისიდან 15 ვერსზე) ბოლშევიკების 7 ეშელონი სდგას.

წერილები:

ა. ასათიანი. დაშნაკცაკანები და მენშევიკები.

გ. გვაზავა. ამიერ-კავკასიის სეიმი.

რ. ინგილო. ბოლშევიკები და ზავი.

ქართული პრესა. ბოლშევიკები თვითგამორკვევის შესახებ.

კორესპონდენცია. ქართლიდან, ახალციხიდან.

თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომა.

გულდამწუხრებულნი მშობლები ევგენია ნიკოლოზის ასული და გიორგი პეტრეს ძე სარაჯიშვილნი შეიტყობინებენ ღრმად მწუხარე გულით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობებს საყვარელის, დაუვიწყარი შვილის

ქეთოს

გარდაცვალებას, 29 იანვარს 1918 წლ. დაკრძალვა ხუთშაბათს 1 თებერვალს ქ. სიღნაღში. (1—997—1)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული სამკურნალო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს კომიტეტში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა შეტანა.

წარმოდგენა № 19.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახ. სახ. ახ. ქართვ. წარ. მმართვ. წრის სცენის მოყვარეთა მიერ ხუთშაბათს 1 თებერვალს 1918 წ.

ბენეფისი რეჟისორ კ. შათირიშვილისა

№ 21 ✚

ნომერი ოცდაერთი ჯვარით

დრამა 4 მოქ. ია ეკალაძისა. მოქმედება სწარმოებს 1907 წ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ზარიათაშვილი, გოგოლაშვილი, მარგველაშვილი, ნინიძე, ნ. გოცირიძე, მაჭავარიანი, ი. მინდიაშვილი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თავდგირიძე, გ. ჯაბუშანური, ამბ. ივერიელი, გ. კომახიძე, ალ. მაზნიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათ. ✦ ადგილების ფასი 3 მ. 90 კ. 70 კ-მდე

შემდეგი წარმოდგენა 4 თებერვალს.

რეჟ. კ. შათირიშვილი.
2—901—2

რეჟ. თანაშემწე ალ. ბაღრიძე.
ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

კოოპერატივებო და კოოპერატორებო,

დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.

ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

(ნ—903—1)

საზაფხულო თეატრი

დილის წარმოდგენა.

კვირას, 4 თებერვალს, 1918 წ. ქართულ ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი მხიარული ოპერეტა

არშინ-მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქმ. გაჯიბეკოვისა, თარგ. გიგოშვილისა.

მონაწილენი

სულეიმან-ბეგი . .	ვახო აბაშიძე.	თელი . . .	ნ. ჯავახიშვილი.
ასია . .	ტასო აბაშიძე.	გულჩორა . .	ც. ამირეჯიბი.
ასკერი . .	ალ. იმედაშვილი.	სულეიმანი . .	ნ. ჩაგუნავა.
ხალა . .	ი. ჩერქეზიშვილი.	ველი . . .	ი. ფიგაძე.

იქმნება საკუთარი ტანისამოსი.

დასაწყისი შუადღის ხრულ 12 საათზე.

ბილეთები იყიდება საზაფხულო თეატრის კასაში.

2—994—1

გამგე გ. იორდანიშვილი.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

ილებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მუჯირაზიანცი

შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის— ჰლექის და გულისა, ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს ი.) სხივებით. დაბალ სოლუქსით, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—82.
თ—986—4

სამკურნალო. კაბინეტი

პ. ს. ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალური სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და 4½—8 საღამოთი. მიხეილის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოვანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.
თ—920—30

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. ფუნის ქუჩა № 41
ტელეფონი № 15—09

დოქტორი მე-კლინიკა
მოსკ. ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

ყოფილი ასისტენტი მოსკ. უნივერსიტეტის კლინიკისა. შინაგან და ქირურგიული სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალოს ექ. ნ. მ. კიშკინისა.

იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (ფსიხოთერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22.
თ—989—4

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

გადასახლდა

ავადმყოფებს მიიღებს.

10—2 დილით, 5—8 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.
25—928—71

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირას გარდა. გორის ქუჩა № 6, ფუნიკულ.
თ—960—10

ოთახი

ქირავდება [illegible] ის თანამშრომელს. აცნობეთ რედაქციაში, ტელ. 15—73, ანუ მის ბინაზე ტელ. 12—14. (3—1)

დაშნაკცაკანები და მენშევიკები

ჩვენ დაშნაკცაკანებს კარგად ვიცნობთ. სხვებიც კარგად იცნობენ მათ. მაგრამ ქვეყნად მრავალი მოიპოვება გულუბრყვილო პოლიტიკოსი და ხალხის მეთაური, რომელნიც თავის მოწინააღმდეგის ბუნებას და განზრახვებს მხოლოდ დაბეჭდილ მის პარტიულ პროგრამაში ეძებენ. დაშნაკცაკანების ბუნება არ შეისწავლება იმ ორმაგიანი წიგნაკით, რომელიც თბილისის ქუჩებში იყიდება. ამ პარტიის პროგრამა იქ კი არ სწერია, არამედ რუსეთის, ინგლისის, თუ ოსმალეთის ფარულ არქივებშია ჩაწყობილი და მილიუკოვის თუ საზონოვის კაბინეტში განხილული და დადასტურებული.

დემოკრატიული წყობილება, ინტერნაციონალი, სოციალიზმი... ყოველივე ამაზე ისევე ზრუნავენ ამ პარტიის მეთაურნი, როგორც ოსმალეთის სულთნის კეთილდღეობაზე. სამაგიეროდ—ალექსანდრეტტა და კილიკია, შავი ზღვის ნაპირები და ჩრდილოეთის მიჯნათ კავკასიონის ქედი, დამოუკიდებელი სომხეთი იქ, სადაც სომხებია და იქაც, სადაც ისინი არ მოიპოვება, მუდამ ყოფილა და არის ამ პარტიის პოლიტიკური პროგრამა. ამ პროგრამიდან ისინი ხშირად კიდეც სთმობენ ცენტრალიზმს და ეს მათ მოსდით, რასაკვირველია, მხოლოდ ფალსი დემოკრატიზმით და მეზობელთა სიყვარულით. სანამ რუსეთის ტახტი ძლიერი იყო, ამ სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი საქვეყნოდ აცხადებდა თავის პარტიას და მთლად სომხის ერს ორთავიანი არწივის მოკავშირედ. ძველი რუსეთი დაინგრა, მაგრამ არც ამის შემდეგ გასჭირვებია ამ პარტიას მოკავშირის და დამხმარის ძიება.

მრავალი ეკლიანი ნარი მოგვიტანეს დაშნაკელებმა ამ რევოლუციის შემდეგ ჩვენი მენშევიკების ხელით. ჩვენი კომისარიატი არამც თუ არ შეუკავშირდა, არამედ არც კი შეუთანხმდა საერთო საკითხებში ჩრდილო-კავკასიის, სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს თუ უკრაინას—მათ ერთფეროვანი სოციალისტური მთავრობა არ ჰყავსო, ვინ იცის რად, მოხლობილ მეზობლებში კი მხოლოდ სომხური დემოკრატია იქნა მიჩნეული სანდოთ და საიმედოთ. სხვანი კი ჩამორჩენილი და შეუგნებელნი აღმოჩნდნენ. მაგრამ გრამ მალე დადგა დრო და, როდესაც ჩვენი მენშევიკების კარიერაც შეიქნება გასაჭირი, გამოირკვა თუ რამდენად საიმედონი იყვნენ ისინი, ვისი მეგობრობისთვისაც მათ დასთმეს მრავალი თავისი პარტიული და უფრო მეტი-კი ქართველი ერის ინტერესები.

რამ დაარღვია ასე მალე ეს ტკბილი მეგობრობა? ზოგი იფიქრებს, რომ ამის მიზეზი დაშნაკელების ჩვეულებრივი გაუტანლობაა. არა მხოლოდ ეს, არამედ უფრო ის გარემოება, რომ დაშნაკელებმა მენშევიკების ძალღონე საკმაოდ გამოიყენეს და მომავალში ისინი მათგან ბევრს ვერაფერს მოელიან. ანგარიშიანი და ჭკვიანი ხალხია. სუსტ მოკავშირეს ძლიერზე ადვილად გასცვლიან. ამ ჟამად ასეთ მოკავშირედ მათ მიაჩნიათ რუსეთის ბოლშევიზმი და რუსეთის ცენტრალური მთავრობა. რუსეთის ცენტრალურ მთავრობასთან 6 კავშირი თავის ეროვნულ პოლიტიკის წარმოების ფულიდან პირობით ჰქონდათ დასახული წინათ და თუ დროებით ეს კავშირი დარღვეულია, სიხარულით შეუერთდებიან მის აღდგენას და განმტკიცებას.

ბოლშევიკების დეკრეტი ოსმალეთის სომხეთზე, შაუმიანის ხელით კავკასიის მოგზავნილობა და ბრძანება თუ ფარული მისი დაპირებანი... ყოველივე ეს დიდად ულევიცებს საერთაშორისო ინტრიგებში დაგეშილ პარტიას. მენშევიკები? ისინი ალბათ გამოდგებიან სომხურ იმპერიის აშენებლებად თუმცა დაშნაკელებმა მათ ამისთვის რამოდენიმე ტვირთი სიდა მაინც მიაზიდვინეს ზურგით ამ ბოლო ხანებში ამ პოლიტიკოსებს. იქნებ არც ახლა შეუტანთ ეჭვი დაშნაკელებს მათ გულმართლობაში. მათ კარგათ იციან, რომ ქართველი სოციალდემოკრატები დღიდან თავის გაჩენისა მხოლოდ სხვისი საქმის აშენებელნი არიან. ან ევროპას უქადიან რევოლუციით განთავისუფლებას ისე, როგორც რუსეთი გაანთავისუფლეს. ხან დანგრეულ რუსეთს ხელ ახლა აშენებენ, ან და, თუ ეს არ მოხერხდა, უკიდურეს შემთხვევაში, მთელ კავკასიას მაინც აწყობენ თუნდაც ქართველ დემოკრატიის ძალით და საქართველოს ხარჯზე, მაგრამ ინტერნაციონალის სასახელოდ და სადიდებლად. ანგარიშიანი დაშნაკელები ასეთს ალალმართალ მეოცნებეთ ხანგრძლივად ვერ დაუმეგობრდებოდნენ. მათ ისარგებლეს მათის გულუბრყვილობით და უფრო ხელსაყრელ მოკავშირეთა ძებნას შეუდგნენ. დღეს ასეთი უკვე ნაპოვნი ჰყავთ და გასაკვირველი არ არის, თუ მათ ჩვენს მენშევიკებს ზურგი უჩვენონ და თავისი საიმედო მეგობრული ხელი სხვას გაუწოდონ.

ოსმალეთის სომხეთზე ბოლშევიკების დეკრეტის გამოცემის შემდეგ დღესვე დაშნაკელების ოფიციალურმა ორგანომ „აშხატავორმა" ცხარე პროტესტი გამოუცხადა კომისარიატს იმის გამო, რომ მან განიზრახა შაუმიანის გაძევება კავკასიიდან. არზუმანოვი კი სასტიკად უთანხმოდა საოლქო ცენტრში ეროვნულ საბჭოებს. დაშნაკელებმა ეროვნული მთავრობა და ეროვნული საბჭო ჯერ რევოლუციამდე ჰქონდათ მოწყობილი. როდესაც ჩვენი მენშევიკები მოურიცხავად შეუდგნენ რამდენიმე საერთო ეროვნულ ორგანოს მსგავსი საბჭოს შექმნას, მათ ყველაზე მწარე აგუგუნდნენ, როგორც რუს-საქართველოს დეპუტატები, ისე დაშნაკელების წარმო

მომადგენელნი. ეს საკმაო შეიქმნა და ჩვენი მენშევიკების სწორედ იმ ბელადებმა, რომელნიც ჩვენ ამ ეროვნულ საბჭოს შექმნისათვის ეროვნულ გმირებად და დავით აღმაშენებლად გამოვაცხადეთ, თავიანთი ხელით გამოაძრეს ყველა აგურები დაწყებულ შენობიდან და ეროვნული საბჭო სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოებათ გამოაცხადეს.

ერთი წელიწადია რაც ჩვენი ქვეყნის სვე-ბედი სოციალ-დემოკრატების ხელშია. მათი პოლიტიკისათვის პასუხის-მგებლობა ჩვენს ერს დაეკისრება. ვინ იცის იქნებ ჩვენ მოწამენი გავხდეთ ისეთი ეროვნული სირცხვილის და დამცირების, რომლის მხილველი არ გამხდარა თვით შავბნელი ჩვენი ისტორია.

ა. ახათიანი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

ბევრი უდღეური შვილები გააჩინა რევოლუციამ. იმათ შორის ამიერ-კავკასიის სეიმიც უდღეურია და მომაკვდავი. იგი მოკლე დროშივე უსათუოდ მიებარება მიწას. იურიდიულად მისი საფუძვლის აღმოჩენა ყოვლად შეუძლებელია. იგი ამიერ კავკასიის სეიმი კი არ არის, იგი მხოლოდ ფრაგმენტია რუსეთის დამფუძნებელი კრებისა და როგორც ფრაგმენტს, როგორც ნაწილს, იმას რასაკვირველია არავითარი უფლება არა აქვს. იგი შეიძლება იყოს ერთნაირი შეხვედულობისა ამიერ კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიურ საჭიროებაზე, მარა ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ ამავე შეხვედულობის იქნებოდა რუსეთის დამფუძნებელი კრება. მაშასადამე, რუსეთის დამფუძნებელი კრების პრინციპიდან ყოვლად შეუძლებელია რაიმე ხელსაყრელი დასკვნის გამოყვანა და ამ დასკვნაზე დამყარება სეიმის უფლება-მოსილობისა.

არც არჩევნები იყო რიგიანი. ამიერ-კავკასიის ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადება იყო აშკარად იმპერიალისტური ნაბიჯი რუსეთის მმართველ წრეებისა. როცა ეს საარჩევნო კანონი გამოიცა, რუსეთში ჰფარფაშობდნენ კადეტები და იმათთვის ხომ დამონებულ ერთა განთავისუფლება ისე საშიშარი იყო, როგორც მოსალოდნელი დარღვევა მთელი რუსეთისა. იმათ კარგად იცოდნენ, თუ რა იყო საქართველო, თუ რა უფლებით იყო აღჭურვილი, და გამოაშკარავება ამ უფლება-მოსილებისა სწორედ იქნებოდა ის დანა, რომელიც თავდაპირველად ყელს გამოსჭრიდა თვითონ კადეტებს. საჭირო იყო ჩაფუჩეჩება ამ უფლებისა, გათქვეფა მთელი საქართველოსი ამიერ კავკასიის ყველა ერებში და ამისთვის ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადება მისი. გათქვიფეს კიდეც. ამისთანა არჩევნებში გაიმარჯვებდა მხოლოდ ის პარტია, რომლის დროშაზე ეწერა ინტერნაციონალურ ლოზუნგები, ე. ი. ის პარტია, რომელიც პირდაპირ უარს ჰყოფს ერს და ისტორიულად მოპოებულ ეროვნულ უფლებებსა. დამარცხებული დარჩა მხოლოდ საქართველო.

მიუხედავად ამისა სეიმი მაინც ფაქტია. იგი უნდა გაიხსნას თბილისში თებერვლის 16-ს. ფაქტით კი უნდა ვისარგებლოთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი (და უფრო სხვისი) ძალად-მაცხონეები—ბოლშევიკები უარს ჰყოფენ ამ სეიმს და ცდილობენ მის დაშლას. ისინი პირდაპირ ომს უცხადებენ სეიმს არა იმიტომ, რომ უფრო ნამდვილი და სწორი უფლებრივი ხასიათი მისცენ საერო წარმომადგენლობას—აბა რა ბრძანებაა?— ისინი სცდილობენ ხელმწიფობა მიანიჭონ უფრო უდღეურ რევოლუციის შვილებს—სალდათების და სხვა საბჭოებს, ისინი ცდილობენ აღიარონ ლენინის ხელმწიფობა საქართველოში და ამ გზით აღადგინონ ხელახლად რევოლუციით დამხობილი რუსეთის იმპერიალიზმი. ვაის გაეყარე და უის შეეყარეო, სწორედ ეს იქნება. რევოლუციის სახელით ეს ვაჟბატონები ებრძვიან უმთავრეს რევოლუციის იდეას—ერთა განთავისუფლებას საერთაშორისო ექსპლოატაციისა და მონობისაგან. ას წელიწადზე მეტია, რაც საქართველო სულს ჰლევავდა რუსეთის იმპერიალიზმის ქვეშ, წაართვეს იმას მიწა - წყალი,—დაადევს ბლომად ხარკი, მოუსპეს სკოლა, სამართალი და ყოველნაირი კულტურა... ეხლა რევოლუციის შეწევნობით დაემხო ეს იმპერიალიზმი და ჩვენი ძალად მაცხონეები კი ისევ ამ იმპერიალიზმს ეშლაფუქებიან... ახლად მოვლენილი იმპერატორი ლენინის სახით. აი, ეს უნდა ვიქონიოთ სახეში და მხარი დავუჭიროთ დროებით მაინც ამ რევოლუციის უდღეურ შვილს—ამიერ-კავკასიის სეიმს.

უდღეური მკვდარს არა ჰნიშნავს. უდღეურს შეუძლიან იცოცხლოს რამოდენიმე და ეს რამოდენიმე დღე საკმარისია, რომ გადავლახოთ საშიშარი მომენტი. მხოლოდ საჭიროა ცდა და ერთმანეთის გაგება.

უმთავრესი მოთხოვნილება მომენტისა არის ზავი. ამ საკითხს ვერავინ გაექცევა. ამ საკითხის დაყენება, გადაწყვეტა და შეიძლება მოწესრიგებაც არის ერთად ერთი საქმე სეიმისა. შემადგენლობა სეიმისა ეხლა აშკარაა: რაც გინდ სოციალისტური სახელი არ დაირქვან მისმა წევრებმა, მისი სახე განსაკუთრებით ეროვნულია. იქ არიან—35 ქართველი, 40—მუსულმანი და 30—სომეხი (დაახლოვებით). ამ კრებულის წინ დგება კითხვა: ომი თუ ზავი?! ამ კითხვის გადაწყვეტაც აშკარაა. ქართველებს ომი არ უნდათ და არც შეუძლიათ, მუსულმანებს ომი არ უნდათ, თუნდაც რომ შეეძლოთ. დარჩნენ სომხები. მათი მდგომარეობა განსაკუთრებულია: ისინი ჩაბმულნი არიან ომში, გამოცხადებულნი არიან როგორც მებრძოლი მხარე, წინ ეხატებათ დიადი მიზანი ოსმალო სომხეთის განთავისუფლებისა და მგონია ბევრი ადვილი არ იქნება იმათთვის გადაწყვეტა ამ საკითხისა. მე მგონია, ისინი მომხრე იქნებიან ომის გაგრძელებისა. რა უნდა ვქნათ მაშინ ჩვენ? რასაკვირველია, ჩვენ ნება არა გვაქვს ხელი შევუშალოთ მათ მათს მისწრაფებაში ისე, როგორც იმათაც არა აქვთ ნება ხელი შეგვიშალონ ჩვენ ჩვენი სურვილის განხორციელებაში. ყველა თავისუფალი უნდა იყოს თავის ბედის გადაწყვეტაში. თავისუფალნი არიან სომხებიც. მაგრამ ამ თავისუფლებას უნდა ჰქონდეს თავისი განსაზღვრული ფარგალი და ამ ფარგალში არ უნდა მოჰყვეს სხვა ერი და სხვის ტერიტორია. აქედან თავისთავად დაისმება კითხვა ტერიტორიალურ განსაზღვრისა ე. ი. იმ სახელმწიფოებრივ საზღვრებისა, რომლის ფარგლებში უნდა ჩამოისხას ეს თუ ის ეროვნული ცხოვრება. ეს არის მეორე და, მე მგონია, უკანასკნელი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს ამიერ-კავკასიის სეიმმა.

ამნაირად ყველა თავისუფალი იქნება და ყველას მიეცემა უფლებრივი საშუალება თვითონ გაუძღვეს თავის ბედსა და ცხოვრებას. თუ სომხებს მაინცა და მაინც ომის გაგრძელება უნდათ, ეს იმათი საქმეა, ჩვენ ხელს ვერ შევუშლით. ნუ შეგვეშინდება იმ სულელური ბრალდებისა, რომ ჩვენ, ქართველებს, ვითომდა ბლოკი გვქონდეს მუსულმანებთან. არავითარი ინტერესი არა გვაქვს ომის გაგრძელებისა და რასაკვირველია, არცა ვართ ვალდებული განვაგრძოთ იგი.

ამნაირად, რაც გინდ უდღეური იყოს ამიერ-კავკასიის სეიმი, ამ გარდამავალ მომენტში იგი საჭიროა. მან უნდა გადასწყვიტოს ორი ძირითადი საკითხი—ზავის და სახელმწიფოებრივი განსაზღვრის. ეს აუცილებელი საფეხურებია და როცა შევდგებით და გავივლით ამ საფეხურებს, მყისვე ჩადგება თავის უფლებრივ კალაპოტში საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრება, დაიბადება მთავრობაც, ჯარიც, ფინანსიც.

გ. გვაზავა.

ბოლშევიკები და ზავი

კერენსკის მთავრობის ბედი გადასწყდა მაშინ, როდესაც ომისაგან დაქანცულ რუსეთს ბოლშევიკები შეჰპირდნენ სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და საპატიო, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას ერთი თვითგამორკვევის პრინციპზე. ვერავინ იტყვის, რომ დღევანდელი გაბატონება ბოლშევიკებისა სხვა და სხვა ადგილას არის შედეგი მათი იდეური გამარჯვებისა: რუსეთის ხალხის მომეტებული ნაწილის აზროვნების სისტემა ისე არ ჩამოყალიბებულა, რომ გამოერკვია პოლიტიკურ დოქტრინებში; მას ჯერჯერობით შეუძლიან მხოლოდ მიემხროს ამა თუ იმ წამოსროლილ ლოზუნგს ისიც ვიწრო ეგოისტური მოსაზრებით.

სასტიკად დამარცხებულ სახელმწიფოს ხალხი ოცნებობდა მხოლოდ ზავის შეკვრაზე.

რუსეთის დემოკრატია ვერ წარმოადგენს შესაფერ ობიექტს სოციალისტური ექსპერიმენტების მოსახდენად, არა გვგონია, რომ თვით ამ დემოკრატიამაც იკისროს სოციალური გადატრიალების შესრულება და, თუ იგი დღეს მართლ-მორწმუნე ბოლშევიკად გვევლინება, ეს იმით აიხსნება, რომ ხალხი მოდუნდა აუტანელ ომით და ინსტინქტიურად მიეკედლა პარტიას, რომელმაც დეკრ[illegible]ვზირი არა [illegible] ქვეყანას, რომ უწინარ[illegible] იბრუნებს მშვიდობიანს და [illegible]ბაზე.

თავის თავად იბადებ[illegible] ენავა: შეასრულეს რუსეთში ძალა-უფლების მქონე ბოლშევიკებმა თვისი დაპირება, ან და გაითვალისწინეს ყველა ის სიძნელენი, რომელიც გადაედობებოდა ზავის საკითხს და შეუძლებლად ჰყოფდა ბევრს ისეთ გარემოებას, რაც ბოლშევიკების აზრით სულ ადვილი მისაღწევი იყო?

ამ შემთხვევაში რუსის ბოლშევიკებს დაემართათ ის, რასაც ფსიხოლოგიაში აბერაციას უწოდებენ: იმპერიაში მიმდინარე რევოლუციის დედა-აზრიდან მათ შეუსაბამო დასკვნანი გააკეთეს, პრიმიტიული სოციალური ბუნტი და ღვარ-ახსნილი ანარქია რუსის უკიდურეს ბლანკისტებს სოციალისტური წყობილების წინასიტყვაობათ მოეჩვენათ! ბოლშევიკების აბნეულ ფანტაზიას წარმტაცი სურათი წარმოუდგა: მთელი ევროპა სოციალურ ქარცეცხლში სდუღს და ამ საშინელ კატასტროფას ხელმძღვანელობს რუსის „რბილ-ტანიანი“ დემოკრატია!! ამით აიხსნება ბრონშტეინ-ტროცკის დიპლომატიური დებიუტი, რომელმაც მოკავშირეების ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია, მის ავტორს-კი მიანიჭა უკვდავ გეროსტრატის დიდება.

დიდის რიხით დაიწყეს ბრესტ-ლიტოვსკში წინასწარი საზავო მოლაპარაკება პეტროგრადის „სახალხო კომისრების“ წარმომადგენლებმა, მათ აიღეს შეურიგებელი კილო და საჭირო შემთხვევებში რუსის დემოკრატიის სახელით ემუქრებოდენ გერმანეთის მთავარ-სარდლის რწმუნებულებს, რამაც ერთხელ კიდევაც გამოიწვია გენერალ გოფმანის შენიშვნა, რომ კრილენკოს აგენტებს სახეში უნდა ჰქონდეთ ის გარემოება, რომ ზავზე ლაპარაკი აქვთ მოწინააღმდეგესთან, რომელიც სდგას დამარცხებულ რუსეთის ტერიტორიაზე. ამ რეპლიკამ ცხადჰყო რუსეთის ახალ ფორმაციის დიპლომატებისათვის, რომ რუსის დემოკრატიის წარამარა ხსენება და სოციალური რევოლუციის აჩრდილი გამოუსადეგარი საშუალებაა გერმანეთის იმპერიალისტების შესაშინებლად. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ბრესტ-ლიტოვსკის დიპლომატიური კამათი არის უკანასკნელი აქტი ჰინდენბურგის ოპერაციისა აღმოსავლეთის საზღვრებზე! ეს აქტი საბოლოოდ ამკვიდრებს სამი წლის სტრატეგიულ ნამუშავარს და გვიხატავს გრანდიოზულ სურათს შეერთებულ იმპერიის მიზანშეწონილ მოქმედებისას...

პოლიტიკურ მეთვალყურისათვის ადვილი გასაგებია, რომ დამარცხებულ სახელმწიფოს მიერ საზავო პირობების წამოყენება—უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ ამ სახელმწიფოს, მეტი რომ არა ვსთქვათ, სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენებს, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, როდესაც ბოლშევიკური ჯარი გარბის სახლში, პოზიციებზე მყოფთა-კი სამთა კარავები დუქნებად და მიკიტან-ხანებად გადაუკეთებიათ. რუსეთში მიმდინარე დემობილიზაცია, ცოტა არ იყოს, ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ შემთხვევაში საზავო მოლაპარაკება ჰკარგავს სერიოზულ ხასიათს და ერთს-ახალდობრ დამარცხებულ სახელმწიფოს გამარჯვებულის მოწყალებაზე სტოვებს: ხშირად მომხდარა, რომ პრელიმინარული საზავო მოლაპარაკება უშედეგოთ დარჩენილა და მოწინააღმდეგეთ ხელ-მეორედ ხიშტებისათვის მიუმართავთ ბედის გადასაწყვეტად. ამ ჟამადაც მდგომარეობა ასეთივეა: დეპეშების ცნობით ბრესტლიტოვსკში გერმანელებს ისეთი საზავო პირობები დაუდვიათ, რომ მისი მიღება რუსეთის სრულ განიავებას ნიშნავს. ბოლშევიკების დელეგაციამ ეს იგრძნო, ამიტომ დასვეს კითხვა, როგორ მოიქცევა გერმანეთი, უკეთუ რუსეთი არ დასთანხმდა ამ პირობებზე? გენერალ გოფმანის პასუხი ლაკონიური იყო: ერთი კვირის შემდეგ რეველს დავიპყრობთო! რადა იხსნის რუსეთს? ის „სამღვთო ომი“, კრილენკოს რომ გადაუწყვეტია „შავი დღისათვის“, თუ სოციალისტური საფთხოლი?

ბრესტლიტოვსკის საზავო მოლაპარაკება ყურადსაღებია ერთის მხრივ კიდევ: გერმანეთი ერთს მთლიან რუსეთს აღარა სცნობს, საზავო პირობების გამორკვევაშიაც ტერიტორიალურ ერთეულებისაკენ მიიწევ[illegible] ცენტრალ მთავრობას იწყნარ[illegible] იმდენად, რამდენადაც იგი ველი[illegible]ის სახელით გამოდის. როდესაც [illegible] თხი დაისვა იმის შესახებ, რა [illegible]ულება უნდა მიეცეს საზღვარს ბ[illegible]სტლიტოვსკის სამხრეთით, გენერალ გოფმანმა განმარტა, რომ ეს შეადგენს უკრაინის მთავრობის კომპეტენციას და ამის შესახებ სახალხო კომისრების რწმუნებულებთან გერმანიის დელეგაცია მოლაპარაკებას ვერ იქონიებს.

თუ ზავის ჩამოგდებას ბოლშევიკები დღიურ პროგრამის ქვაკუთხედად სახავდენ, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მათ პირნათლად ვერ შეასრულეს მისია. ყოველივე მაჩვენებელია იმისა, რომ რუსეთს ელის არა საპატიო ზავი დემოკრატიულ სხვა და სხვა ხალხების მიერ ნაკარნახევი, არამედ ისეთი ზავი, რომლის შედეგად იქნება რუსეთის დაქუცმაცება და დაუძლურება! „აღმოსავლეთის საფრთხე“ გერმანეთს დიდი ხნით უშფოთველად მყუდროებას და, ვინ მოიფიქრებს, რომ მან იშვიათი მომენტი გამოსტოვოს და არ შექმნას პირობები, რომლის მეოხებით სრულიად უზრუნველყოფილი იქნება აღმოსავლეთის საზღვრებზე და აუარებელ ფულს აღარ შეალევს ციხე-სიმაგრეების აშენებას.

რუსეთში პოპულიარულმა ლოზუნგმა—უანექსიო და უკონტრიბუციო ზავმა—ნიადაგი ვერ მოიპოვა უცხოეთში, სადაც სრულიად სხვა თვალსაზრისით და პოლიტიკური შეგნებით ცდილობენ გამოხატონ ევროპის მომავალი რუკა.

ადვილი შესაძლებელია, ბრესტ-ლიტოვსკისაკენ სეირნობამ ბოლშევიკებისათვის საბედისწერო როლი ითამაშოს და უნაყოფო მოლაპარაკების დამთავრებას თან დაერთოს ავანტიურისტების მეფობის დასრულებაც.

რ. ინგილო.

ქართული პრესა

ბოლშევიკები თვითგამორკვევის შესახებ

გაზეთი „ბრძოლა“ სწერს:

თვით - გამორკვევა რუსეთიდან ადვილი საქმეა. ამიერ-კავკასიის მასშტაბში ეს თვით-გამორკვევა სოციალური ხასიათისაა. ის კონტრ-რევოლიუციონურია სავსებით, როგორც კალედინის და დუტოვის თვით-გამორკვევა. მაშასადამე ეს არ სწყვეტს ეროვნულ თვით-გამორკვევის საკითხს, რომელიც, როგორც ვთქვით, ობიექტიურათ მომწიფებულია.

ამიერ-კავკასიის ერებმა თვით-გამორკვევა უნდა განახორციელონ არა მარტო რუსის ერის მიმართ (ეს ადვილათ გადაწყდა კონტრ-რევოლიუციის ნიადაგზე), არამედ ერთმანეთ შორის. ისინი ერთმანეთს უნდა გამოეყონ, გამოემიჯნონ, საკუთარი ტერიტორიები დაიმტკიცონ, გავლენის სფეროები განსაზღვრონ და მხოლოთ მაშინ შესძლებენ ეროვნულათ ჩამოყალიბებას, ეროვნულ სხეულად გადაქცევას.

ეს კი ძნელი საქმეა. სამივე ერი სუვერენული უნდა იყოს და ამავე დროს ხარბიელად მთელი ამიერ-კავკასია უნდა ქონდეს. საკუთარ ტერიტორიაში ჩაჭედვა სულს ამოხდის თითეულს ცალ-ცალკე. ეს ტერიტორიებიც სადავოა. ისტორიული ტრადიციები და რეალური მოსახლეობა ერთმანეთს არ ეთანხმება. რეალური მოსახლეობაც მეტად აჭრელებულ სანახაობას წარმოადგენს. ხშირათ შეუძლებელი ხდება რაიმე მიჯნის გავლება. გამიჯნა კი აუცილებელია.

რანაირათ შეიძლება საკითხის გადაწყვეტა? საერთო შეთანხმებით, ამბობენ თვით დაინტერესებული მხარეები. მაგრამ ეს ცარიელი ფრაზაა. შეთანხმება მხოლოთ უკანასკნელი გამოხატულება იქნება რეალურ ძალთა განწყობილებისა. ამ ძალებსაც იკრებენ, მათ ქმნიან და რაზმავენ ნაციონალური საბჭოები ნაციონალურ პოლკებს და კორპუსების სახით. მაგრამ ეს არა კმარა, საჭიროა მოკავშირეები. მათ ძებნა-მოპოებაში წინ დგება მთელი პოლიტიკა, რომელსაც ქვიან ორიენტაცია.

ამიერ-კავკასიის ერები უკვე იმუშავებენ თავის ორიენტაციას. ისინი თვით ერთი-მეორეს უკავშირდებიან, ერთი-მეორეს ინაპირებენ და მით ცდილობენ ერთი-მეორეს სარფიანი ლუკმა წაგლიჯონ.

ზავის გარშემო

ზავი გერმანეთთან

ბოლშევიკები და მოლაპარაკების შეწყვეტა

სმოლნში დაჟინებით ამბობენ, რომ გერმანელთა უარი, კურლიანდიის, ლიტვის და პოლონეთის გაწმენდაზე არ არის სრული პასუხიო. ბრესტის დელეგაციის მონაწილე პოკროვსკიმ განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკებისას მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რადის და სმოლნის შუა ატეხილმა კონფლიქტმა. გერმანელები ამბობდნენ, რომ კონფლიქტის შეიარაღებულ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობა უსაცილოდ დამარცხდებაო. ბრესტელ დელეგაციის წევრთა უმრავლესობა საქმეს მეტად გულნაღვლიანად შეჰყურებს, რადგანაც გერმანელთა მიერ წამოყენებული პირობები ულტიმატური სეპარატიულ ზავის შეკვრისა, ხოლო საერთო ზავის ჩამოგდების დროს შეიძლება შეიცვალოს.

რუს ტყვეების განთავისუფლება

გრაფ მირბახმა ტროცკის შეატყობინა, რომ გერმანეთში მყოფი ტყვე-რუსები გაანთავისუფლეს მძიმე მუშაობისგან და გაუთანაბრეს სამოქალაქო ტყვეებს. მათ მალე გამოჰგზავნიან სამშობლოში.

ვილჰელმის და ჰინდენბურგის სიტყვები

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ვილჰელმი და ჰინდენბურგი საპროგრამო სიტყვებით გამოვიდნენ. ვილჰელმი ემუქრებოდა რკინის მუშტით და მოელვარე ხმლით ვინც კი წინააღმდეგობას გაუწევს ზავს. ჰინდენბურგმა, სთქვა სხვათა შორის „კურთხევა უფლისა მოგვეფინათ თქვენ 1917 წელს. 1918 წ. იგი მიგიყვანთ სრულ გამარჯვებამდე.

ომი

ამერიკის ლაშქარი

კიევში მყოფი ოფიცრები ამერიკის ლაშქარში ეწერებიან. ამერიკა რუს ოფიცრებს წლიურად 12 ათას მანეთს აძლევს. ოფიცრის ოჯახს ცალკე აძლევენ ფულს.

კავკასიის ასპარეზი

იანვრის 16-ს ხანის და ჩელიკის რაიონში ქურთებთან მოხდა სასტიკი ბრძოლა. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ქურთები გაიქცნენ. მათ მოუკლეს 65 კაცი. ჩვენი ჯარისკაცები მხნედ იბრძოდნენ. იანვრის 21-ს მეორე ბრძოლა გაიმართა. ექვსი საათის ბრძოლის შემდეგ ქურთები გაიქცნენ ს. პეტრიჩიდან, რომელიც მათ ხელში იმყოფებოდა და ქურთებმა დაჰკარგეს 100 კაცზე მეტი. მიუხედავად ამისა, იანვრის 16-ს და 18-ს ისინი თოფის სროლით შემოადგნენ პლატანას, მაგრამ მზვერავებმა მალე გაჰფანტეს.

ინგლისის ცნობა

დასავლეთის ფრონტზე ჩვეულებრივი საჰაერო ბრძოლაა. ჩამოვაგდეთ მტრის 9 ჰაეროპლანი და დავაზიანეთ 4. კამბრეს მახლობლად ერთ ტონ ნახევარი ყუმბარა ვესროლეთ ჰაეროდრომს.

საფრანგეთის ცნობა

ჩვენმა ესკადრილებმა მარჯვე სროლა აუტეხეს საარბრიუკის რკინის გზის კვანძს. ჩამოაგდეს მტრის 3 ჰაეროპლანი. ჩვენი ჰაეროპლანები უვნებლივ დაბრუნდნენ. ჩამოვაგდეთ გერმანელების 8 ჰაეროპლანი და დავაზიანეთ 5.

გერმანელების ზარალი

ბავარიის სეიმში სოციალისტების ლიდერმა სეგიტსმა განაცხადა: „ჩვენ გვაკლია ნახშირი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საპონი. ხომ არა ჰგონია მთავრობას, რომ მოგვატყუებს უცხოელებს და ვეტყვით, რომ ისეთ მდგომარეობაში ვართ რომ კარგის ნატვრას არავინ ჰფიქრობს? გერმანელებს დაგვაკლდა 1.300.000 კაცი. ამდენივე ინვალიდი გვყავს. ერთმა მეტად გამოჩენილმა სამხედრო პირმა სთქვა: „ომის შემდეგ გერმანეთში ხორბლის შემოსაზიდავად გემები აღარ გვექნება და აუცილებლად გაფიცვები მოხდებაო.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

ბოლშევიკები და ჟურნალ-გაზეთები

ბოლშევიკთა ბატონობის პირველ დღიდანვე აიკრძალა 28 გაზეთის და ჟურნალის გამოსვლა. მარტო პეტროგრადში შეიპყრეს 100-ოდე საგაზეთო თანამშრომლები. ზოგიერთი მათგანი, როგორც არგუნოვი, ბურცევი,

პოლეშტეინი და [illegible] [illegible]დან, ან რამდენ[illegible] [illegible]ბით.

სახელმწიფო სესხების გაუქმება

სახალხო კომისართა საბჭომ სახელმწიფო სესხთა გაუქმების დეკრეტი გამოსცა. დეკრეტში ნათქვამია.

ა. ყოველნაირი სახელმწიფო სესხი მთავრობისათვის მიცემული, რუს მემამულეებისგან და რუსის ბურჟუაზიისგან დღიდან ისპობა. ზემოხსენებულ სესხის ქრისტეშობისთვის კუპონები არ ანაზღაურდება.

ბ) ასევე უარი ეთქვას ზემოხსენებულ მთავრობის მიერ აღებულ სესხს სხვა დაწესებულებებისაგან.

გ) ამასთანავე ძალა ეკარგება უცხოელთა სესხების.

დ) სახელმწიფო ხაზინის მოკლე ვადიან სერიების პროცენტები არ ანაზღაურდება. მათი ობლიგაციები უთანაბრდება საკრედიტო ბილეთებს.

საერობო კავშირის დაწესებულებანი—რესპუბლიკის საკუთრებად

სახალხო კომისრების საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც საერობო კავშირის ყველა დაწესებულებანი რუსეთის რესპუბლიკის საკუთრებად ცხადდება. სრულიად რუსეთის საერობო კავშირის მთავარ კომიტეტს ითხოვენ და მის მაგიერ ადგენენ ახალ კომიტეტს.

მოსკოვში

გაზეთი „მეფე შიმშილი“

მოსკოვში გამოდის გაზეთი „მეფე-შიმშილი“, რომელშიაც მოყვანილია რუსეთის პოლიტიკური და სამეურნეო რღვევა. მთავარ თანამშრომლებად არიან: ო. ს. მინორი, ე. კუსკოვისა, ი. ა. ვერნერი, მ. ა. ოსორგინი და სხვ.

ბანკების ჩაგდება ბოლშევიკებისაგან

მოსკოვში ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს აზოვ-დონის, რუსულ-აზიურის და ვოლგა-კამის ბანკები.

მეზღვაურთა განცხადება

სევასტოპოლის ნავთ-სადგურში მდგარმა დრედნოუტმა „ვოლიამ“ ფლოტს ულტიმატუმი წარუდგინა: თუ არ შეაჩერებთ ოფიცერთა ხოცვა-ჟლეტას, იძულებული ვიქნები ბრძოლა აგიტეხოო.

ოფიცრების დახვრეტა

უკანასკნელ დღეებში, ხარკოვში დახვრიტეს 60 ოფიცერი. სიკვდილის წინედ, მათ სასაცილოდ იგდებდნენ.

დონის გამოსარჩლება

მეოთხე საადარიგო კავალერიის პოლკმა, რომელიც სადგ. ლისეკთან სდგას, უარი განაცხადა დონის წინააღმდეგ წასვლაზე.

შიმშილი რუსეთში

ჩრდილოეთში დიდი უბედურობა დატრიალდა. კოსტრომიდან ვიდრე ივანოვო-ვოზნესენსკამდე ხალხი სრულ შიმშილს განიცდის. პეტროგრადსა და მოსკოვში ჯერ კიდევ ერთ მერვედ გირვანქა პურს იძლევიან კაცზე. პროვინციაში გირვანქა პური ჰღირს 3 მანეთი. ბევრი შიმშილით იხოცება. მრავალ ადგილებში აჯანყებაა.

ეკატერინოდარში

ეკატერინოდარიდან იუწყებიან: 27 იანვარს ღამით, გომაშევის მიმართულებით გაგზავნეს ყაზახთა მზვერავები. ყაზახები წააწყდნენ ბოლშევიკთა საყარაულოს. მოხდა ბრძოლა. ბოლშევიკები ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ მოიყვანეს ეკატერინოდარში. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, ტომაშევეში ბოლშევიკები გაიქცნენ.

უკრაინა

დამოკიდებულება რუმინეთის ფრონტთან

კიევიდან მოსკოვში იტყობინებიან, რომ უკრაინამ რუმინეთის ფრონტთან შესწყვიტა ყოველგვარი დამოკიდებულება.

კალედინის მუქარა

უკრაინის რადა ნებას აღარ აძლევს ყაზახთა ეშელონებს დონზე გაიარონ. სამაგიეროდ კალედინი დაემუქრა, რომ დონზე არ გაატარებს კავკასიის ფრონტიდან მომავალ 10.000 უკრაინელსო.

უკრაინის ახალი მთავარსარდალი

როგორც გამოირკვა, ბოლშევიკები უკრაინის საზღვრებიდან გამოუძევებიათ, მიუხედავად ამისა სახალხო კომისართა საბჭომ, ბოლშევიკი კოცუბინსკი უკრაინის რესპუბლიკის ჯართა „მთავარსარდლად“ დანიშნა.

ეკონომიური ცხოვრება

სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის ფული

სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი უკვე ჰბეჭდავს ქაღალდის ფულს. დონის ფული მეტად ლამაზია. „კერენსკის“ 20 და 40 მანეთიანებს სჯობია. ზომით თითქმის ემთხვევა საზომისაა რა ქაღალდის ფულსაც პეტროგრადის ექსპედიცია უშვებს. მის მაგიერ ყალბი ფულის გაკეთება ისევე ძნელი იქნება პეტროგრადის ქაღალდის ფულის მაგიერ. ჯერ-ჯერობით სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი უშვებს 1 მილიონ ქაღალდის ფულს. ქაღალდის ფულის გარდა, სამხედრო მთავრობა დაჰბეჭდავს ფოსტის მარკებს, თამასუქებს და სხვა ამგვართ. დონის ფული გასავალში იქნება არა მარტო დონში, არამედ ჩრდილო-კავკასიაში და ამიერ კავკასიაშიაც.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ბოლშევიკების ეშელონები.** თბილისში სარწმუნოდ ლაპარაკობენ, რომ სადგურ ალტაბელიაში (თბილისიდან 15 ვერსზე) სარაყამიშიდან მოსული ბოლშევიკთა ჯარისკაცების 7 ეშელონია (7.000 კაცამდე) გაჩერებული. მატარებელი, რომლითაც ისინი მოვიდნენ, უკანვე დააბრუნეს სარიყამიშში დანარჩენ მათი ამხანაგების წამოსაყვანად და მათ მოსვლას ელოდებიან.

◆ **მოხალისეთა რაზმი.** გუშინ, იანვრის 31-ს, თბილისში ჩამოვიდნენ შორაპნის მაზრიდან და ხაშურ-სურამის რაიონიდან მოხალისეთა რაზმები და წითელ გვარდიაში ჩაეწერნენ. რაზმებს სასახლესთან მიეგებნენ რევოლუციონურ ორგანიზაციების მეთაურნი, მიესალმნენ და სასახლეში მიიწვიეს. რამდენიმე აღტაცებით აღსავსე სიტყვა წარმოითქვა. რაზმელები ახოვანი და ჯანსაღი ხალხია. მომეტებული ნაწილი რაზმელებისა ჯარში ნამსახურნი არიან და კარგად იციან სამხედრო საქმეები. მოხალისეთა რაზმებს საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც მოელიან.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** ლექციების კითხვა ქართულ უნივერსიტეტში იანვრის 30-ს დაიწყო. აუდიტორიაში 400 კაცზე მეტმა მოიყარა თავი. პირველი ლექცია წაიკითხა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. ეს ლექცია შეიცავს საქართველოს ისტორიის შესავალს. ლექცია წაიკითხა აგრეთვე დეკ. კორ. კეკელიძემ (სემინარიის რექტორმა) საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან. გუშინ, იანვრის 31-ს, ლექციები წაიკითხეს პროფ. დ. უზნაძემ (ფსიხოლოგიიდან) და ბ-ნმა ყიფშიძემ (ქართული გრამატიკა). სტუდენტების მიღება უნივერსიტეტში დასრულებულია; მხოლოდ თავისუფალ მსმენელების მიღება შეიძლება.

◆ **ბოლშევიკების გეგმები ბათუმში.** ბათუმის ნავთსადგურში მისულა 8 ნაღმოსანი, რომელთა მეზღვაურნიც ბოლშევიკები ყოფილან. მეზღვაურნი დამუქრებიან ბათუმელებს, თუ ჩვენ არ მოგვემხრობით, ქალაქს დავანგრევთო.

◆ **საზღვაო კომისარიატი** მუდმივად ბათუმში იქნება, ამავე დროს კი დაექვემდებარება სამხედრო-საზღვაო კომისარს ვ. ჰ. გობეჩიას. საზღვაო კომისრად დანიშნულია უფროსი ლეიტენანტი თ-დი ჭავჭავაძე, რომელიც გ. გელოვანთან ერთად უკვე გაემგზავრა ბათუმში კომისარიატის მოსაწყობად.

◆ **წარმოდგენების მართვა დიდმარხვაში.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა თბილისის თეატრებს ნება დართო დიდმარხვის 1 და მე-4 კვირას წარმოდგენების მართვისა.

◆ **მასწავლებლების გაფიცვა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებს ქუთაისიდან სახალხო მასწავლებელთა ყრილობის თავმჯდომარე ბ-ნი ჭანიშვილი: მასწავლებლებმა გადასწყვიტეს გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე.

◆ **გზათა მიმოსვლის კომისარმა** წინადადება მისცა ამიერ კავკასიის გზათა მიმოსვლის ოლქის უფროსს შეამციროს მოსამსახურეთა შტატი და საერთოდ ხარჯები.

◆ **ოსური პარტია „ჩერმენი“.** დაარსდა ოსების ინტერნაციონალისტ-სოციალდემოკრატების პარტია „ჩერმენი“, რომელიც მიზნად ისახავს დახმარება აღმოუჩინოს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ღარიბ გლეხობას.

◆ **თათრული ჯარის ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა თათართა პოლკის 1 ასეული, რომელიც ქართულ და სომხურ ჯართან ერთად დაიცავს ქალაქს.

◆ **იანვრის 25-ის მიტინგის რეზოლუცია.** იანვრის 25-ს რკინის გზის დეპოს მოსამსახურეთა მიტინგზე მიღებულ მენშევიკების რეზოლუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ამიერ კავკასიის სეიმი უნდა შესდგეს. მუშ. და ჯარისკ. საბჭოები უნდა გაძლიერდეს, რათა რევოლუცია დაიცვას და სეიმის მოქმედებას კონტროლი გაუწიონ. ეროვნულ საბჭოებზე რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მათი მოქმედება კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას არ უნდა გასცდეს და არავითარი პოლიტიკური ფუნქცია არ უნდა შეასრულონ.

◆ **ნაქურდალი საქონლის აღმოჩენა.** სისხლის საქმეთა მილიციის უფროსის თანაშემწემ ბ-ნმა ჯაჯანაშვილმა კირკის ქუჩაზე, ბ-ნ კოტლერის სამკერვალოში აღმოაჩინა 800 ზეწარი, რომლებსაც დამღიანი კუთხეები ამოჭრილი ჰქონდა. კოტლერმა განაცხადა, რომ ეს ზეწრები მკერვალმა კიშლერმა გადმომცაო.

◆ **ვაგონების დაუბრუნებლობა** ამიერ კავკასიის რკინის გზიდან ჯარისკაცები წასულია დიდძალი ვაგონებით. კავკავის რკინის გზას უკან არ დაუბრუნებია ჯერ 6.500 ვაგონი და ეს გარემოება, სხვათა შორის დიდად აბრკოლებს ფრონტის ჯარების დროზე გაგზავნას ამიერ კავკასიიდან.

◆ **ქართული გიმნაზიის მეხუთე,** მეექვსე და მეშვიდე კლასებში სწავლა დაიწყო.

◆ **პასუხის გებაში მიცემა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ 30-მდე სხვა და სხვა მოვაჭრეს ოქმი შეუდგინა და პასუხის გებაში მისცა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის. ზოგს მათგანს ბრალდება საქონლის გადამალვა და ზოგს დაწესებულ ნიხრზე უფრო ძვირად გაყიდვა საქონლისა.

სასურსათო საქმეები

◆ **საქართ. ეროვ. საბჭ. შუამდგომლობა.** ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებულ სასურსათო ყრილობაზე გამოირკვა, რომ თუმცა ჩრდილო კავკასია პურს იძლევა, მაგრამ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო ვერც ერთი ვაგონი ვერ მოდის. საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ამიერ-კავკასიისთვის გამოუშვას პურით დატვირთული ვაგონები.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** იანვრის 28 და 29-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობას მოუვიდა ბათომიდან: ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., ხორბალი 11 ვ., კარტოფილი 1 ვ., კვერცხები 4 ვ. და ქე-6 ვაგონი.

◆ **ფულის გადადება სურსათის შესაძენად.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა განკარგულება გაუგზავნა სახაზინო პალატის გამგეს გადასდვას 500.000 მანეთი სურსათის შესაძენად ჩრდილო კავკასიაში.

◆ **სიმინდის შეძენა.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობის წევრი გიორგი დალაქიშვილი დღეს, თებერვლის 1-ს, საქართველოს სამხედრო გზით კავკავს მიემგზავრება სიმინდის შესაძენად და ტრანსპორტის მოსაწყობად. ბ-ნ დალაქიშვილს აზრად აქვს ნაყიდი სიმინდი ყაზბეგში გზავნოს და იქ გამართოს საწყობი. იქიდან კი შემდეგ თბილისისათვის გამოიგზავნება სიმინდი.

◆ **პირველი ტრანსპორტი კავკავიდან.** მას შემდეგ, რაც კავკავში არეულობა და სისხლის ღვრა მოხდა და დარიალის ხეობა ინგუშებს ჰქონდათ გამაგრებული, პირველი ტრანსპორტი კავკავიდან იანვრის 30-ს მოვიდა თბილისში. ამ დღეს მოხევეებმა ჩამოიტანეს გასასყიდლად 14 ურემი სიმინდი და პურის ფქვილი. როგორც მათ გადმოგვცეს, ქარავნის მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზით შესაძლებელია, თუმცა რამდენიმე დაბრკოლება კი შეხვდება გზაში.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ეროვ. დემოკ. პარტიის მიტინგი.** კვირას, თებერვლის 4-ს დღის 12 საათზე ახალ კლუბში გაიმართება პარტიული მიტინგი. მთავარ კომიტეტის წევრები წარმოსთქვამენ სიტყვებს ეროვნულ მთავრობის ჯარის და საერთოდ საქართველოს მდგომარეობის შესახებ. შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში.

◆ **ქართველ მასწავლებელთა კრება.** იანვრის 28-ს საქართველოს ეროვნულ საბჭოს „განათლების“ სექციის თაოსნობით ქართულ გიმნაზიაში მოხდა თბილისის ქართველ მასწავლებელთა კრება, რომელმაც ითათბირა ქართულ სახელმძღვანელო წიგნების შესახებ. შესდგა რამდენიმე სექცია სწავლო საგნების მიხედვით. სექციები ჯერ-ჯერობით შეიმუშავებენ დაწყებითი პროგრამას თავიანთ [illegible] შესახებ და შემდეგ შეუდგებიან სახელმძღვანელოების შედგენას.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ხუთშაბათს, 1 თებერვალს ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალი პიესა ვალ. შალიკაშვილისა „გაწყვეტილი ჯაჭვი“.

◆ **ქალთა ყრილობის** მომწყობ ბიუროს კრება შესდგება თებერვლის 2-ს დილის 11 საათზე „ნაკადულის“ რედაქციაში.

◆ **გეზტმანის ლექცია.** პირველ საკომერციო სასწავლებლის დირექტორი თებერვლის 2-ს, 1 საათზე სასინოდო კონტორის შენობაში წაიკითხავს ლექციას სასწავლებლებში საღმრთო სჯულის სწავლების აუცილებლობის შესახებ. კრებას დაესწრება მთელი თბილისის სამღვდელოება, მოწაფეები, სამრევლო საბჭოს წევრები, სამრევლოს წარმომადგენლები და თვით სჯულის მასწავლებლები.

◆ **ხელოვნების სექციის სხდომა.** პარასკევს, თებერვლის 2, საღამოს 6 საათზე საბჭოს ბინაზე მოხდება ხელოვნების სექციის სხდომა.

◆ **განათლების სექციის სხდომა.** პარასკევს, თებერვლის 2, დილის 10 საათზე პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს განათლების სექციასთან არსებულ ქართული ენის და ლიტერატურის კომისიის კრება. ხსენებული კომისია იწვევს ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლებს და აგრეთვე პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებსაც მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

პროვინციის ქრონიკა

◆ **მკვლელობა.** იანვრის 23 ნავთლუღის ქვეით, ეგრედ წოდებულ „ნავთი ქალაში“, თამამშევის მამულში, ნაძირალებმა მოჰკლეს (ჯერ დაახრჩვეს, მერე თეზაფით დასწვეს) ღრმად მოხუცებული ცოლქმარნი: პეტრე (110 წლის) და მარიამ (80 წლ.) შარაბიძეები.

კახეთის რკინის გზა

◆ **ჯარის-კაცთა მოქმედება.** იანვრის 28 თბილისიდან გამოსულ სამგზავრო მატარებლით მოდიოდნენ ფრონტიდან უკან დაბრუნებულნი ჯარის კაცები, რომლებიც დაითარეშობდნენ ვაგონებში და ვისაც კი პაგონები ჰქონდათ, ძალით აგლეჯდნენ და სძარცვავდნენ; სხვათა შორის თავლიჯეს ერთ ექიმს პაგონები და თანაც გაძარცვეს უსირცხვილოდ. არავითარი ხვეწნა-მუდარა იმათთან არ გადიოდა. სადგურ ბადიაურში მატარებელი რომ დადგა, ბოლშევიკ ჯარის კაცებმა შენიშნეს ოთხი თათარი, საბრალოებს ერთი დაჰკივლეს თათრებიო, დაუშინეს ცინტოვკები და დახოცეს და თანაც გაძარცვეს; ერთი მათგანი თათრის პოლკის „ვოლნოოპრედელიაჩიკ“ ბევრი ეხვეწა: „რათა მკლავთ რა დაგიშავეთო“ მაგრამ, არ შეიბრალეს.

სართიჭალა

◆ **სახალხო წარმოდგენა.** სამთო მატარებლის ჯარის კაცთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა: „ძუნწი“ და „დაჭრილი ომში“. კარგად ითამაშეს: ანა ბარძიმაშვილმა, ა. ჩერქეზიშვილმა და ხარაიძემ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ბაღდადი

◆ **საპარტიათაშორისო საბჭოს დაარსება.** იანვრის 19 აქ დაარსდა საპარტიათაშორისო პარტია, რომელშიაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები არ შეუშვეს, რადგანაც სხვა პარტიების აზრით და სურვილით ეს საბჭო წმინდად სოციალისტური უნდა იყოსო. საბჭოში შედის მენშევიკებისაგან—4, ფედერალისტებისაგან—2 ესერებისაგან—2.

ახალციხე

◆ **მასწავლებელთა გაფიცვა.** ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის მასწავლებლებმა გადასწყვიტეს გაიფიცონ. მიზეზი ჯამაგირის მიუღებლობაა.

თელავი

◆ **უსურსათობა.** რადგანაც აქ სრულიად გამოილია სურსათი ამის გამო ქალაქის თვითმართველობამ განცხადება გამოაკრა ქუჩებში, რომლითაც აცხადებს, აფრთხილებს და ურჩევს მცხოვრებთ რომ, მოთმინებით გადიტანონ ეს დროებითი მოვლენა ვიდრე სურსათს მოაშველებდნენ, რისთვისაც უკვე გაგზავნილები არიან კაცები თბილისში, სოფლებში და ჩრდილო კავკასიაში, ამას გარდა ურჩევს შეძლებულ მოქალაქეთ შეიძინონ ვისაც რამდენი შეუძლიან სურსათი და, ვინც შეიძინეს, სთხოვს პურის ბარათები უკან დაუბრუნონ თვითმართველობას მით შეძლება მისცენ უზრუნველყოს თელავის უღარიბესი მცხოვრებნი სურსათის მხრივ.

ბოლშევიკები და შავი ზღვის პირი

შავ ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის სამხედრო და ბათუმის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა დელეგატების კრებამ მოისმინა რა მოხსენება ეგნოვისა მიმდინარე მომენტის შესახებ—დაადგინა სათანადო წინააღმდეგობა აღმოუჩინონ ამიერ-კავკასიის კომისარიატს აღმოსავლეთ ნაპირის საზღვაო ძალების დასაკუთრებაში, ვინაიდან იგი მთავრობა არ არის საბჭოთა მთავრობა და რევოლუციონურ რუსეთიდან გამოყოფილია.

ულტიმატუმი სარიყამიშის ბოლშევიკურ ეშელონებისა

სარიყამიშის სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტს იანვრის 25-ს დეპეშა გამოუგზავნია ამიერ-კავკასიის კომისარიატისათვის, სეიმის და ეროვნებათა საერო საბჭოსთვის, რომ განმარტონ: თუ რა მიზეზია, რომ სარიყამიშისკენ ასე ნაკლებ ვაგონებს ჰგზავნიან? დეპეშა შეიცავდა აგრეთვე ერთგვარ ულტიმატუმს, რომ კომისარიატს ყოველ დღე მოეწოდებინა მატარებლების სამი შემადგენლობა. კომისარიატს პასუხი 24 საათში უნდა გაეცა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი იტოვებდა მოქმედების თავისუფლების უფლებას.

თბილისის ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ვერეშჩაკმა პირდაპირი მავთულით შეუთვალა სარიყამიშის სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტის თავმჯდომარე ბოლშევიკ შემალდაევს, რომ ვაგონების შეწყვეტის მიზეზია აღმოსავლეთ კავკასიაში მომხდარი ამბები, აგრეთვე ის, რომ მიმავალი ეშელონები ვაგონებს აღარ აბრუნებენ და პირდაპირ მიდიან კავკავის რკინის გზით რუსეთში. ამასთან ზოგი ეშელონები ძალიან იგვიანებენ. ვერეშჩაკის აზრით, ეშელონებმა ისე უნდა იმგზავრონ, რომ არ მოუხდეთ თბილისში შემოვლა და არც სადგურებზე შეჩერება. შემალდაევი დაიმუქრა, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატს ულტიმატუმს წარუდგენთო.

ბერძნების მობილიზაცია

ამიერ-კავკასიის ელლინთა ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა ეროვნულ ჯარის შედგენა. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის ბრძანებით ნება-დართულია კავკასიის ელლინთა მსროლელ დივიზიის შედგენა. ამ ბრძანების თანახმად კავკასიის ელლინთა ეროვნული საბჭო მოუწოდებს ელლინთა პოლკებს გამოცხადდნენ ელლინურ დროშის ქვეშ 6 თვით. ჯარში იწვევენ ყველა 18 წლის ბერძნებს; 2) ყველა სამხედრო მოსამსახურეს და სამხედრო წვრთნის მოუხდელებს 19 წლიდან 30 წლამდე, სახალხო მასწავლებელთა გარდა, რომელთაც შემდეგ გაიწვევენ. 1) თბილისის (წალკის რაიონის გარდა) ქუთაისის, ერივანის გუბერნიებს, ბათუმისა და სოხუმის ოლქში მცხოვრებნი ეწერებიან თბილისში მსროლელთა ელლინურ პირველ პოლკში. 2) ყარსის ოლქის მცხოვრებნი ეწერებიან ყარსში მეორე მსროლელთა პოლკში. 3) წალკისა და გომარეთის მცხოვრებნი ეწერებიან მანგლისში მესამე პოლკში.

მაჰმადიანები და მიწის საკითხი

იანვრის 25-ს თბილისში მოხდა აქ მყოფ მაჰმადიან მიწის მუშების, სოციალისტების და „მუსავატ“-ის პარტიის წარმომადგენელთა თათბირი. ითათბირეს საერთოდ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ მაჰმადიანთა პროვინციებში გამეფებულ ანარქიის შესახებ: კამათის შემდეგ თათბირმა ის აზრი გამოიტანა, რომ ანარქიის ერთ-ერთ მიზეზთაგანი არის მიწების პ[illegible]ნთა და უმიწოდ დარჩენილ მც[illegible]ბთა შორის საადგილ-მამულო [illegible]კიდებულების მოუწესრიგებლო[illegible].

საადგილ[illegible] დამოკიდებულებათა და რ[illegible]ს განსახილველად თათბირმა და[illegible]ინა უფრო ფართო თათბირის მოწვევა. თათბირში მონაწილეობა უნდა მიიღონ მიწების მაჰმადიან მუშათა, პოლიტიკურ პარტიების და საოლქო ცენტრის გლეხთა დეპუტატების წარმომადგენლებმა. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ხსენებულ თათბირის მოწვევა და მისთვის მოხსენების წარდგენა. კომისიაში შედიან: ა. კანტემიროვი, ი. ვეკილოვი, მ. ფალავანდოვი, ლ. ბებუთოვი და ისფ. ვეკილოვი.

თბილისის ქალაქის საბჭო

იანვრის 29 სხდომა

ბინის კომიტეტის საკითხი

სხდომას ხსნის საბჭოს თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე. პირველად საბჭო იხილავს მოქალაქე ტ. კამალოვის საჩივარს. საჩივარი შეიცავს შემდეგს. მოქალაქე კამალოვის საქმე ბინის შესახებ გაასამართლა ქალაქის გამგეობამ. კამალოვი უკმაყოფილოა ქალაქის გამგეობის განჩენით და საქმის ხელახლად განხილვას ითხოვს. ამ საკითხის შესახებ მცირე მოხსენებას აკეთებს ხმოსანი ეპშტეინი (მენშევიკი).

ნ. ელიავა. ტექნიკური მხრივ შეუძლებელია, რომ მუნიციპალურ საბჭოში ირჩეოდეს ბინის საკითხები. ბინის საკითხების გარჩევას უფლება ადმინისტრატიულ ორგანოებს ეკუთვნით. ქალაქის გამგეობა კი არ არის ადმინისტრატიული, იგი მხოლოდ მუნიციპალურია.

გ. გვაზავა. საკითხის ასე დაყენება შეუძლებელია. გამოდის რომ ქალაქის გამგეობა არ არის ადმინისტრატიული ორგანო და გამოდის რომ არა ადმინისტრატიულმა ქალაქის გამგეობამ მიისაკუთრა ადმინისტრატიული უფლება. აქ ფაქტიურად ილახება ინტერესები ერთი მოქალაქის და ამიტომ ფორმალური თვალთ-საზრისით საკითხის დაყენება შეუძლებელია.

იაჯუიანი. (დაშნ.) ასეთი საკითხების გარჩევა დავალებული აქვს ბინის კომიტეტებს. მაგრამ ეს კომიტეტები თითქმის შეუმჩნევლად ქალაქის გამგეობის მიერ გაუქმებული იქმნენ. ამ კომიტეტების უფლებები კი ქალაქის გამგეობის ხელში გადმოვიდნენ. მე მოვითხოვ რომ აღდგენილ იქმნენ ბინის კომიტეტები.

ქალაქის თავმა განმარტა, რომ ბინის კომიტეტები არავის მიერ გაუქმებულნი არ ყოფილან, მხოლოდ კომიტეტების წევრებს მოეწყინათ მუშაობა და ამის გამო კომიტეტებიც დაიშალენ.

საბჭომ დაადგინა, რაც შეიძლება მალე იქნან აღდგენილნი ბინის კომიტეტები, მანამდე კი ბინის საქმის განსაჩივრება შესაძლებელი იყოს ქალაქის გამგეობაში.

შაქრის საკითხი

ნ. ელიავა. როგორც მოგეხსენებათ მიმდინარე თვეში აწეულ იქნა ფასი შაქარზე. ამის გამო ქალაქის გამგეობას მრავალი პროტესტი მოსდის. ყველა თხოულობს ძველი ფასის აღდგენას. თბილისის ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ მიწერ-მოწერა იქონია, ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებთან და გამოირკვა, რომ სხვა ქალაქების საბჭოებსაც მრავალი პროტესტები მოსდით ფასის აწევის წინააღმდეგ.

საბჭომ მოხსენება მხედველობაში მიიღო.

მილიციის უფროსის არჩევანი

შემდეგი საკითხი მილიციის უფროსის არჩევანია. ქალაქის გამგეობის კანდიდატათ ამ პოსტზე არის დასახელებული პოლკოვნიკი ალექსანდრე გრიგოლის ძე კონიაშვილი. ფრაქციათა მოსალაპარაკებლად სხდომა შესწყდა ათი წამით.

ათი წამის შემდეგ სხდომა გაიხსნა. ყველა ფრაქციებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ კანდიდატურას. მხოლოდ სომხის ეროვნულ პარტიის წარმომადგენელმა შეიკავა თავი. კენჭის ყრის შემდეგ კონიაშვილი არჩეულ იქმნა 52 ხმით, ერთი შავი ხმის წინააღმდეგ.

არჩეულ იქმნა აგრეთვე ქალაქის კონტროლიორად პეტროვსკი 53 ხმით 2-ის წინააღმდეგ.

სხდომის დახურვა.

ამას გარდა გარჩეულ იქმნა სხვა მიმდინარე წვრილი საკითხებიც. ხმოსნებს მეტის-მეტი დაღალვა ეტყობოდათ. მილიციის უფროსის არჩევის შემდეგ ხმოსნებმა დარბაზის დატოვება იწყეს. 10-ნახევარზე უკვე კვორუმი აღარ იყო და თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მ. საირხელი.

სახაზინო და საუფლისწულო მამულები

სადგილმამულო საოლქო კომიტეტის სექციამ მოისმინა მ. ა. სკიბიცკის მოხსენება იმის [illegible] სახელმწიფო და ყოფილ საუფლისწულო მამულებიდან, რომელი მიწები გადაეცემა სადგილმამულო ფონდს თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის პირველ დებულებისა (გამოცემულია ქრისტეშობისთვის 16-ს, 1917 წელს). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონთა 416 მუხლის თანახმად სახაზინო მიწებად ითვლებიან რომელნიც სამიწათმოქმედო სამინისტროს უწყებაში იმყოფებიან.

ამიერ-კავკასიაში სახაზინო მიწები იყოფა რამდენიმე ჯგუფად. სანადელო მიწები, რომელზედაც იხდიან ბეგარას იჭერენ 6,230,907 დეს. მიწას. საიჯარო მიწები ოდითვე იმყოფებოდა გლეხების ხელში. როდესაც სანადელო მიწები სახელმწიფოს სასარგებლოთ პატრონებს ართმევდნენ—ამაში ხაზინა მათ ფულს აძლევდა. ამით გლეხებში ღრმად გაიდგა ფესვი იმ შეგნებამ, რომ სანადელო მიწები მათი საკუთრებაა. ამიტომ მიწების ჩამორთმევა უფასოდ მეტად ძნელი იქნებოდა. ამასთან სანადელო მიწები შედარებით ბევრი არ არის და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მათი ახლანდელ პატრონების ხელში დარჩენა.

2. სახაზინო მიწების მეორე ჯგუფს შეადგენს იჯარით გასაქირავებელი მიწები. ხსენებულ მიწებს იძლეოდნენ დროებით იჯარით და სამუდამო იჯარით.

ამიერ-კავკასიაში იჯარით გაქირავებული სახნავი მიწები სულ 4.495,381,836 დესეტინას შეადგენენ. უხნავი გასაქირავებელი მიწები (სულ 6,158) შეადგენენ $14,516\,^{7}/_{20}$ დესეტინას. მათში ბაღებსა და საძოვრებს 2022 დესეტინა უჭირავთ.

ასე რომ, მიწადმოქმედებისათვის გამოსადეგი მიწა ამიერ-კავკასიაში სულ 388,858 დესეტინას უდრის. უვადო იჯარით სხვა და სხვა სოფლის საზოგადოებაზე გაცემული 284 ნაჭერი —$55,269\,^{17}/_{20}$ დესეტინა. სახნავი 1241 ნაჭერი, უხნავი $1,284\,^{19}/_{25}$ დეს.

უვადო იჯარით მიწები სოფლის საზოგადოებებს თავთავიანთ თხოვნის თანახმად ეძლეოდათ. ამასთან მიწების დარიგების დროს მხედველობაში იღებდნენ იმას, თუ რამდენი მიწა ესაჭიროებოდა ამა თუ იმ საზოგადოებას. მცხოვრებლებს ხსენებული მიწები თავიანთ საკუთრებათ მიაჩნიათ და მათი ჩამორთმევაც ერთობ ძნელი იქნება.

იჯარით გაცემული უხნავი მიწების სადგილმამულო ფონდში მოქცევა არ არის სასურველი, ვინაიდან ხსენებული მიწები გლეხს სახნავად არ გამოადგება და მის საჭიროებას არ დააკმაყოფილებს.

ყველა ის სახაზინო მიწები, რომლებიც საძოვრებადაა გადაქცეული და გლეხებზე არ არის გაცემული იჯარით,—უნდა მოექცეს საადგილ-მამულო ფონდში. სახაზინო საძოვრები არის სულ 1.559.193 დესეტინა. საზამთრო—1.511.869 დესიატინა.

3. სახაზინო მიწების მესამე ჯგუფს ეკუთვნიან. აპშერონის ნახევარ კუნძულის და ბაქოს „საგრადონაჩალნიკოს“ მიწები, ეს მიწები ისეთ პირებს უჭირავთ, რომელთაც იჯარით მიწის აღების უფლება არა აქვთ. მათ ეს მიწები გლეხებისაგან შეუსყიდეს. გლეხებს კი მიწები იჯარით ჰქონდათ აღებული. ასეთ შემთხვევაში მიწა ეკუთვნოდა ხაზინას. მიწით მოსარგებლე კი იჯარას იხდიდა. ასეთი მიწები სულ 721 დესიატინაა. ამ მიწების პატრონებს ჩამოერთმევათ მხოლოდ ნორმაზე მეტი ადგილები. საუფლისწულო უწყების მიწები შედის უმთავრესად თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში და ბათუმის ოლქში და 79.352 დესიატინასა და 2.211 კვადრატულ საჟენს შეადგენენ. მათგან 73.879 დესიატინა გამოსადეგი მიწაა.

საუფლისწულო მიწები ასეა დანაწილებული: 1) 167 ნაჭერი, სულ 383 დეს. და 673 კვადრატული საჟენი აქვთ გორისა და დუშეთის მაზრის 10 სოფელს. ამ მიწებით ხსენებული სოფლები ხიზანთა უფლების მიხედვით სარგებლობენ.

2) 67 ნაჭერი სულ 1,474 დესიატინა და 1,787 კვადრატული საჟენი გაყიდულია 1905 წლიდან 1916 წლამდე კერძო პირების მიერ. ნასყიდობის სიგელები არ დამტკიცებულა, მაგრამ მიწები კი მყიდველების ხელშია.

3) 83 ნაჭერი სულ 5.111 დესიატინა 2.260 კვადრატული საჟენი უჭირავს ფუძეს, ბაღებს, პლანტაციებს და სხვა ამგვართ. ხსენებულ მიწებს განაგებს ახალი საუფლისწულო უწყება.

4) 86 ნაჭერი სულ 25,983 დესიატინა და 64 კვ. საჟ. უჭირავს ტყეს.

5) 233 ნაჭერი სულ 10,988 დეს. და

1,556 კვ. საჟ. ურიგდებათ ადგილობრივ მცხოვრებთ იჯარით.

6) 27 ნაჭერი სულ 27.394 დეს. 2.088 კვ. საჟ. უჭირავს საზაფხულო საძოვრებს.

7) 42 ნაჭერი სულ 8,011 დეს. და 983 კვ. საჟ. უჭირავს საზამთრო საძოვრებს. ყველა ეს მიწები, ხაზინების და კერძო პირებზე მიყიდულ მიწების გარდა, უნდა მოექცეს საადგილ-მამულო ფონდში.

სახაზინო და კერძო პირებზე გაყიდულ მიწების ჩამორთმევა შეუძლებელია, რადგან ხსენებული მიწები პატრონების სრულ განკარგულებაშია. მომხსენებლის მთავარი დებულება ის იყო, რომ ყველა მიწები, როგორც სახაზინო ისე საუფლისწულო, რომლებიც ფაქტიურად მცხოვრებლების საკუთრებად გადაიქცნენ—უნდა გამოცხადდნენ კერძო საკუთრებად და მათ შესახებ ისეთი დადგენილება უნდა იქმნეს გამოტანილი, როგორიც კერძო მესაკუთრეთა მიწების შესახებ. კრებამ მიიღო შემდეგი დებულება:

ამიერ კავკასიის საოლქო საადგილ-მამულო ფონდში უნდა მოჰყვეს ყველა სახაზინო და საუფლისწულო მიწები. გამონაკლისს შეადგენენ.

1) ის სახაზინო მიწები,

ა) რომლებიც სანადელოდაა გაცემული მცხოვრებლებზე.

ბ) ცალკე სოფლის საზოგადოებებზე ცალკე იჯარით გაცემული მიწები. თუ ამ მიწებით მართლა სოფლის საზოგადოების ღარიბი წევრები სარგებლობენ.

გ) კერძო პირებზე ცალკე ანდა საშვილიშვილო იჯარით გაცემული მიწები და აგრეთვე ისეთი მიწები რომლებიც ნადელის სახით სახელმწიფო იჯარის ფასში გაცემულია ისეთ კერძო პირებზე, რომლებსაც იჯარის უფლება არა აქვთ. ასეთი მიწები, თუ ნორმას არ აღემატებიან საადგილ-მამულო ფონდს არ გადაეცემა. ამასთან არც ფერმე, და არც საბაღჩო ადგილები საადგილ-მამულო ფონდს არ გადაეცემა.

დ) ეგრედ წოდებული უხნავი იჯარით გაცემული მიწები შეიძლება გამოყენებულ იქმნას მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

ე) კერძოდ ყველა იჯარით გაცემული და აპშერონის ნახევარ კუნძულის სხვა დანარჩენი მიწები, რომლებსაც ადგილობრივი საადგილ-მამულო და სახელმწიფო ქონებათა მმართველობა არიგებს იჯარით.

ვ) აპშერონის კუნძულის ნავთიან მიწების ნაჭრები, რომლებიც საადგილ-მამულო და სახელმწიფო ქონებათა მმართველობის უწყებას ჯერ კიდევ არ გადაუცემია სამთო უწყებაში.

2) ყოველ საუფლისწულო მიწებიდან.

ა) იმ ხიზნების მიწები, რომლებიც არ აღემატებიან შემდეგში საადგილ-მამულო კომიტეტების მიერ გამომუშავებულ ნორმას.

ბ) ყოფილი საუფლისწულო უწყების მიერ კერძო პირებზე გაყიდული მიწები, რომლებიც კერძო მესაკუთრეთათვის დაწესებულ ნორმას არ აღემატებიან.

მილიციის შტატები ამიერკავკასიაში

(ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილება).

ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივ გარდაქმნის დროს ამიერ კავკასიის მაზრებში და ოლქებში გაუქმებულ პოლიციის მცველების, ქალაქის პოლიციის და დაღესტნის ცხენოსანთა მილიციის მაგიერ—დაარსდეს ამიერ კავკასიაში, სამაზრო (საოლქო) და საქალაქო მილიცია.

2. ხსენებულ მილიციის შტატები დამტკიცდეს და მოქმედებაში შევიდეს 1917 წლის პირველ ენკენისთვიდან.

3. ბაქოს მილიციის შესანახი ხარჯები, გარდა იმ ჯამისა, რომელიც ეძლევა ხაზინიდან (წლიურად 181.700 მ.) და ნავთზე შემოღებულ გადასახადით შეგროვილ ჯამიდან გაიწეროს თვით ქალაქზე.

4. თბილისის მილიციის შესანახი ხარჯები, გარდა იმ ჯამისა რომელიც ეძლევათ ხაზინიდან, (229.730 მ.) გაიწეროს ქალაქზე.

5. ამიერ კავკასიის პირველ და მეორე ხარისხოვან ქალაქების საშტატო ხარჯები მილიციის შესანახად უნდა განაწილდეს თანაბრად ხაზინისა და შესაფერ ქალაქების შორის.

6. ამიერ კავკასიის სამაზრო და საოლქო საშტატო ხარჯები მილიციის შესანახავად უნდა გადიხადოს მთლიანად ხაზინამ.

7. საშინაო საქმეთა სამინისტროს კომისრის განკარგულებას მიეცეს ხაზინიდან 4.104.544 მანეთი. აქედან 3.810.051 მან. ამიერ კავკასიის სამაზრო და საოლქო მილიციის შესანახავად 1917 წლ. ენკენისთვის პირველიდან — ქრისტეშობისთვის 31-ტამდე; 174.768 მან.—პირველ ხარისხოვან ქალაქებს და 119.125 მ.—მეორე ხარისხოვანს.

8. ხარჯების დასაფარავად აღებული სესხი ანაზღაურებულ იქმნეს ახლად გახსნილ კრედიტით.

9. ეს დადგენილება გაზ. „კავკაზ“-ში გამოქვეყნებამდე სისრულეში უნდა იქმნეს მოყვანილი.

ხელი მოაწერა: ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ—ე. გეგეჭკორმა, დაამტკიცა საშინაო საქმეთა სამინისტროს კომისარმა ა. ჩხენკელმა.

კომისარიატის დადგენილებით ამიერ კავკასიის მაზრებსა და ოლქებში დაინიშნება სულ 57 მილიციის უფროსი, 212 საუბნო კომისარი, 241 უფროსი ცხენოსანი მილიციონერი და 7157 უმცროსი ცხენოსანი მილიციონერი.

ქალაქები დაყოფილია ორ ხარისხად. პირველ ხარისხში მოქცეულია 12 ქალაქი: (ალექსანდროპოლი, ბათუმი, დერბენტი, ელისავეტპოლი, ყარსი, ქუთაისი, ნოვოროსიისკი, პეტროვსკი, სოხუმი, თემირხანშურა და ერევანი).

მილიციონერთა სრული ჯამი 1193 კაცს უდრის. მეორე ხარისხში მოქცეულია 29 ქალაქი (ახალქალაქი, ახალციხე, გორი, დუშეთი, სიღნაღი, თელავი, ზაქათალა, ოზურგეთი, არაშანი, ნახიჩევანი, ახალბაიაზეთი, გერუსი, ნუხა, შუშა, არდაგანი, კაგიზმანი, ოლთი, გოკჩა, ლენქორანი, სალიანი, შემახა, ადლერი, გაგრა, გელენჯიკი, სოჭი, ტუაფსე და ხოსტა).

თბილისის გუბერნიაში დაინიშნება 9 სამაზრო მილიციის უფროსი, 37 საუბნო მილიციის უფროსი, 49 უფროსი ცხენოსანი მილიციონერი, 1238 უმცროსი ცხენოსანი [illegible] ოლქში 1 სამაზრო მილიციის უფროსი, 6 საუბნო მილიციის უფროსი, 20 უფროსი ცხენოსანი მილიციონერი და 200 უმცროსი. ქუთაისის გუბერნიაში 7 სამაზრო მილიციის უფროსი, 24 საუბნო, 50 უფროსი ცხენოსანი, 680 უმცროსი ცხენოსანი.

სოხუმის ოლქში 1 სამაზრო მილიციის უფროსი, 4 საუბნო მილიციის უფროსი, 10 უფროსი ცხენოსანი და 200 უმცროსი. ბათუმის გუბერნიაში— 2 სამაზრო მილიციის უფროსი 9 საუბნო, 14 უფროსი ცხენოსანი და 210 უმცროსი.

ბაქოს გუბერნიაში 6 სამაზრო მილიციის უფროსი, 22 საუბნო, 50 უფროსი და 680 უმცროსი ცხენოსანი.

საქართველოს სამკურნალო ყრილობა

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას განზრახული ჰქონდა მოეწვია ქართველ ექიმთა, საშუალო სამკურნალო პერსონალისა და სანიტართა ყრილობა გასული წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. სხვადასხვა მიზეზებისა გამო ყრილობის მოწყობა ამ დროისათვის არ მოხერხდა. პირველმა ქართულმა ეროვნულმა ყრილობამ თანახმად ჯანმრთელობის სექციის მოხსენებისა, დაადგინა რომ სამკურნალო სასანიტარო ყრილობა უსათუოდ იქმნეს მოწვეული. ამ საქმის მოწყობა დაევალა ეროვნულ საბჭოს. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების და ეროვნულ საბჭოსთან დაარსებულ ჯანმრთელობის სექციასთან შეთანხმებით ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად გადაწყვეტილ იქმნა ყრილობა მოიწვიონ 25 მარტისთვის, რის გამოც ცოტაოდნად შეიცვალა ის პროგრამა, რომელიც შემუშავებული იყო საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

პროგრამა ყრილობისა

საზოგადო ნაწილი

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი საზოგადოდ და კერძოდ სამკურნალო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი. საქართველოს საერობო ბიუჯეტი და საერობო სამკურნალო ბიუჯეტი.

2. სამკურნალო საქმის მოწყობა საქართველოში პოლიტიკური და ადგილობრივი თვითმართველობის გეგმის მიხედვით.

შენიშვნა. მიუცილებლობა ექიმთა სპეციალ მომზადების სანიტარო და სამოსამართლო მო[illegible]ბისათვის.

3. სამკურნალო სტატისტიკი[illegible] მის მოწყობა საქართველოში.

სასანიტარო ნაწილი

1. ეხლანდელი სანიტარული მდგომარეობა საქართველოს ქალაქებისა და ზომები მის გასაუმჯობესებლად.
2. სოფლის სანიტარული და სამკურნალო საჭიროებანი და გეგმა მისი მოწყობისა უცხოეთის მაგალითების მიხედვით.
3. სამრეწველო ჰიგიენა.
4. სასკოლო ჰიგიენა.
5. ბავშვთა ავადმყოფობანი და მათი სიკვდილი საქართველოში.
6. მალარია, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.
7. ტუბერკულიოზი, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.
8. სიფილისი, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.
9. ალკოჰოლიზმი საქართველოში და ზომები მის გავრცელების წინააღმდეგ.

სამკურნალო ნაწილი

1. საქართველოში არსებულ სამკურნალო დაწესებულებათა დახასიათება და მათი რეორგანიზაცია (მიხეილის საავადმყოფო, საბებიო ინსტიტუტი, პასტერის სადგური, სამხედრო ჰოსპიტალი, სამკურნალოები ქალაქად და სოფლად).
2. სამკურნალო დახმარების მოწყობა-მოწესრიგება საქართველოში: ა) დახმარება შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ბ) ქირურგიულ, გ) საბებიო, დ) თვალის ავადმყოფობით შეპყრობილთ, ე) სულით და ნერვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვ) კანის და ვენერიული ავადმყოფობით შეპყრობილთ.
3. საკურორტო საქმის მოწყობა საქართველოში, დახასიათება სამკურნალო ადგილებისა, წყლებისა და ტალახებისა.
4. სააფთიაქო საქმის მოწყობა საქართველოში.
5. კბილების ავადმყოფობის გავრცელება საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა.
6. უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა საშუალო სამკურნალო პერსონალისა და სანიტარებისა საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ჯანმრთელობის სექციის გამგე **პ. ხაყვარელიძე.**

საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ჯანმრთელობის სექციის და ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ცირხალაძე.**

მდივნები—**ალ. ბადარჯიშვილი** და **შ. მიქელაძე.**

P. S. ყოველგვარი შეკითხვა ყრილობის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: ქართული ეროვნული საბჭო, ჯანმრთელობის სექცია, თბილისი, ფრეილინის ქუჩა, № 11.

შენიშვნა. თანახმად ჯანმრთელობის სექციისა და საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებისა ყრილობის წევრად შეიძლება იქმნეს ყოველი ექიმი, კბილის ექიმი, ბეითალი, ფარმაცევტი, ფერშალი, ბებია-ქალი და საზოგადო მოღვაწე, თუ მათ შეუძლიათ ქართულს ენაზე მოხსენების წარმოდგენა ან მსჯელობაში მონაწილეობის მიღება.

კორესპონდენცია

ქართლიდან

ხ. მეჯვრი (გორის მაზრა). ამ დღეებში თავის მამულში, სოფელ ზორტაში (ს. მეტეხის ახლო), ავაზაკებმა ვერაგულად მოჰკლეს მ. ე—ძე მღალაშვილი. განსვენებულს უმაღლესი სამეურნეო განათლება ჰქონდა მიღებული პარიზში, რომელიც დაბრუნდა თავის მამულში, ჩინებულად მოაწყო მეურნეობა და დიდ მონაწილეობას იღებდა სოფლის კულტურულ საქმიანობაში. სულ ოთხიოდ წლის განმავლობაში მან ბევრი რამ შესძლო სოფელს, დააარსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კოოპერატიული დუქანი, საურთიერთო ბანკი და სხვა.

არ დავივიწყებ ამ ოთხიოდე წლის წინად აშურიანის ვე[illegible] ამბავი (ამ ამბავს ქართველი ს[illegible]ლოება კარგად იცნობს), როდე[illegible] (ნობილ მან[illegible]თაშევის აგენტები [illegible] მიიწ[illegible]ნებებითო და [illegible] იწყნ[illegible]დნენ, როგორმე მთელი ველი [illegible] მემამულეთაგან ხელში, რომ იქ ან სომქერი კოლონია დაეარსებინათ ან თავიანთი ფარული მიზანი განეხორციელებინათ. ამ ფარულ განზრახვას წინ აღუდგა მიხეილ მღალაშვილი და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მანთაშევს ერთად-ერთი წყარო მეტეხის ცხოვრებისა, ხელში არ ჩავარდნოდა და აკი ერთხელ კიდევაც ღაზათიანად მისტყუება მისი მოურავი, რომელსაც პატარა ნაწილი აშურიანის ველისა ხელში ჩავარდნოდა! მოურავის გადახდას შესაფერი ნაყოფი მოჰყვა. იგი მეტეხიდან აიბარგა (უკანასკნელს ბინა მეტეხში ჰქონდა), და ის იყო და ის, მანთაშევის აგენტებს ჯერობით იქით ცხვირი აღარ შეუყვიათ და თავისი მამული კი, თითქმის ოთხასი დესეტინამდის სოფელ ხანდაკლებს და ყარაჯალებს დესეტინა 74 მანეთად მიჰყიდა, ისიც კარგა ხნის ვადით ბანკის საშუალებით, როდესაც მოხეტიალე აგენტები არც 300 და არც 400 მანეთს არ დაინანებდნენ, ოღონდ კი თავის მამულს ქართველ გლეხებს ნუ დაუთმობდა. არც ტირიფონის ველის ამბავია დასავიწყი, სადაც განსვენებულს კარგა მამული ჰქონდა და აწ დამარხულ ძველ მთავრობას უარს ეუბნებოდა, ჩემს მამულს ჩემის ნებით არავის მივყიდი, ძალით კი რაც სხვას, ის მეც მომივაო. ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთი სულის მტერი, თვით ეხვეწებოდა მთავრობას, მომაშორეთ მამული, ოღონდ კი ფული მომეცით. განსვენებული ფულებს უყრიდა თავს და ოცნებობდა: როცა შესაფერი დრო დადგება, მსურს ჩემს სოფელში, ჩემსავე მამულში, ერთი სამეურნეო სასწავლებელი დავაარსოო, ის ერთად-ერთი საშუალება ჩვენი ხალხის ფეხზე დაყენებისაო. მაგრამ მისი კეთილი განზრახვა ჩაიშალა, თავისმავე ხალხმა ტყვიით უპასუხა. მასთან ერთადვე მოჰკლეს და მერე თავი მოსჭრეს მის ერთგულს ნაჯარისკაცალს, ნიაბელს გლეხკაცს, რომელსაც ეცნო მკვლელები და დაეძახა, გიცანით, ვინცა ხართო, რახან გვიცანი, შენც ზედ მიჰყევიო,—უპასუხნათ მკვლელებს. მოჰკლეს, სოფლად მომქმედი ენერგიული სულ ახალგაზდა კაცი, რომელმაც თვისი დიდი მამულის კარგა ნაწილი სულ ქართველ გლეხებზე გაჰყიდა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის მტრები, არც ათი იმდენს დაიშურებდნენ, თუ უკანასკნელი ფულს დახარჯებოდა.

სოფელი მეტეხი, მის ახლო-მახლო სოფლები ქართველი საზოგადოება და უფრო კი თბილისის კომისარიატი, ვალდებულია სასწრაფოდ აღმოაჩინონ ავაზაკები და მათ შესაფერი სასჯელი უძღვნან, ამისთანა ამბები სხვაგანაც არ განმეორდეს, რომლის ნიშნებიც უკვე სჩანს.

მეტეხელი.

—

ახალციხიდან

მაჰმადიანების მიერ ალყის შემორტყმის შემდეგ ახალციხეზე გავრცელებულმა ხმებმა, რომ ახალციხეში მაჰმადიანებმა თავიანთი საკუთარი პოლკი უნდა ჩააყენონო, დიდი შური და მტრობა დაჰბადა ქართულ ჯარის კაცსა, მცხოვრებთა და ადგილობრივ მაჰმადიანთა შორის. იმ ზომად იზრდება ეს შური და მტრობა, რომ საკმარისია მცირეოდენი მიზეზი მაჰმადიანების მხრით, რომ ჯარმა და მცხოვრებლებმა თოფის წამალსავით იფეთქონ და შეიარაღებულნი დაესხნენ.

თუმცა ქართველი ოფიცრები და ადგილობრივი ქართული ინტერპარტიული საბჭო არწმუნებენ ჯარს და მცხოვრებთ, რომ როგორც ყველა ეროვნებას, ისე მაჰმადიანებსაც აქვთ სრული უფლება (როგორც მაზრაში მრავალ რიცხოვან ხალხს), შეადგინონ თავიანთი მაჰმადიანური ჯგუფის პოლკი, მაგრამ მაინც არა სჯერათ და თავისას გაიძახიან: თავს დავიღუპავთ და მათ არ შემოუშვებთ ქალაქშიო. თქვენ გაყიდული გაქვთ ახალციხე და ამიტომ თათრების სხარეზე ლაპარაკობთო, გაიძახიან მაჰმადიანთა მოძულე ჯარისკაცები და მოქალაქენი. უეჭველია, აქ პროვოკაციული ხაზი მოქმედებს, შეუგნებლებზე, თორემ იგინი რატომ არ უნდა ენდონ თავიანთ უფროსებს და მოწინავე შეგნებულ პირებს, რომელთა შორის არიან მაღალი სწავლითაც აღჭურვილნი. დიდი კამათის შემდეგ კრებებზე მიიღეს ასეთი რეზოლუციები: „ჯარისკაცებმა აირჩიონ ყველა როტებში რამოდენიმე პირი თბილისში, კავკასიის კომისარიატთან გასაგზავნად, იმის გასაგებად, რომ მართლა კავკასიის კომისარიატის განკარგულებით უნდა შესდგეს ახალციხეში მაჰმადიანთა პოლკი. პოლკი, თუ ამ პოლკის შედგენა ახალციხის ქართული ოფიცრებისა და ინტერპარტიული საბჭოს მიერ არის მოწყობილი. დელეგატები მე-9 და მე-10 როტებისაგან გაემგზავრენ, ზოგი 23 იანვარს და ზოგიც ოთხი დღის წინედ. ვნახოთ, რა გაირკვევა.

მოკეთე.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

ხუთშაბათი, თებერვლის

1

ქართვ. წმ. მოწ. ტრიფონისა. პერპეტუასი და მასთან სატირისი, ფელიციტისა, პეტრესი და სხვა.

კათოლ. წმ. მოწ. იგნატი ეპისკოპოზისა.

სომეხ. წმ. პირველ მამათა აღამისი აბელისა სეთანისა და სხვათა.

მაჰმად. პანჯ-შამბე 2 რ. ჯემანდულევველ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომხამიშ 2 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 საღ.
ხაშურ-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
ყარსისაკენ სამგზ. № 4-8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მიმოდის კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

ჟ უ რ ნ ა ლ ი

თეატრი და ცხოვრება № 8

([illegible])

მეთაური—ა) სალამი მოწამეთის ტაძარს! ბ) თვითგანვითარება გვჭირია; შუშა მიხ. დიუაძე—თარი; 3. იოსებ იმედაშვილი—ყველა ერთი მიზნისკენ! გრ. ყანჩელი—*.* (ლექსი); ივ. ტყემალაძე—ვინ მიხ. გომელაური; სანდრო მაჭრაძე—კინტო და რევოლიუცია; ალ. ნიგროლი—ძიღვს გადაყარე (ლექსი ბ—დან); ი. გ—ი—სახალხო მუშა-მწერალნი—ვ. ყიფიანი; ქნარი—სონეტი; იოსებ იმედაშვილი—ქორწილი (გაგრძელება); ვ. წერეთელი—მეორედ მოსვლა (დასასრული); ვ. ყიფიანი—შარადა; დ. პ.—ზ. ნ. ნედვარიძე; დავიწყებული—წინიობა თელავში, წვრილი ამბები და სხ. ჟურნალში მოთავსებულია სურათები.

თითო ნომერი 50 კ. მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის. წლიურად 15 მან. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში, ბაზრის ქ. № 20, ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“, Іос. Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

1918 წ. განახლებული საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

(წელიწადი 28-ე)

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა—პატარებისთვის და მოზრდილთათვის. ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და თვით „ჯეჯილი“ რედაქციაში, არტილერიის ქ. № 5. ჟურნალი წლიურად ღირს 20 მან. ნახევარი წლით 11 მან. განახლებულ ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.

ხელმძღვანელთა ახლად შედგენილი კომისია (ქრ. შარაშიძე, ალ. ფუღავა, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი), ან. რცხილაძე-წუწუნავასი და ნ. ჩხეტია-გელაშვილი) შეეცდება ჟურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდონ სალი და გონებრივი საზრდო.

რედაქტორ-გამომცემელი ან. წერეთელი.
3—885—3

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეთოთხმეტე. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით
საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.
—884—5

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.
სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“-ზე

1918 წლიდან გამოვა ორთვეში ერთხელ.

ჟურნალი წლიურად ღირს 10 მანეთი. სოფლის მასწავლებლებისათვის 7 მანეთი. ფულის გამოგზავნა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. ნახევარი ამ თავით და ნახევარიც ივნისში. თბილისში ხელის მოწერა მიიღება ქ. შ. წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში, ქართულ გიმნაზიაში და „განათლების“ კანტორაში, ოლღის ქ. № 6.

მისამართი: Тифлисъ, Грузинская гимназія.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.
—882—4

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბექანოვი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ზერნაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიზოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო, ყოველდღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრონცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვა—კბილის ექიმი ღებულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.
100—920—78